№42

მარტი - სექტემ. 2017

112-ის დროით

მოგესალმებით,

გთავაზობთ მარტის და აპრილის თვის ნომერს. ორი თვის განმავლობაში „112“-ს ოთხი ქვეყნის - ლიტვის, იორდანიის, ინდონეზიისა და საფრანგეთის დელეგაციის წევრები და 300-მდე სკოლის მოსწავლე ესტუმრა, მათ შორის იყვნენ საბავშვო პროექტის „კოსმოსური ხომალდი“ გამარჯვებული ბავშვებიც.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტმა პირველად მიიღო მონაწილეობა ნატოს დღეების გახსნაზე. ვრცლად აღნიშნული და სხვა საინტერესო ღონისძიებების შესახებ იხილეთ შემდეგ გვერდებზე.

პატივისცემით,

ჟურნალის რედაქცია

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი

დიზაინი თეა კუპრაძე

01 112-მა NATO-ს დღეებზე პროექტი „პოსმოსური ხომალდი" წარმოადგინა 83.4-5

02 112-ს NATO-ს პვირეულზე წარდგენილი პროექტის „პოსმოსური ხომალდი" გამარჯვებული ბავშვები ესტუმრნენ 83.6-7

03 112-ს ლიტვის რესპუბლიკის პოლიციის წარმომადგენლები ეწვივნენ 83.8

04 112-ს იორდანიის ჟანდარმერიის დელეგაცია ეწვია 83.9

05 112-ს ინდონეზიის დელეგაცია ეწვია 83.10

06 112-ს საფრანგეთის კონსული ეწვია 83.11

07 112-ს ახალი წლის დღეებში „თბილისი მოლში" წარმოდგენილი პროექტის „პოსმოსური ხომალდი" გამარჯვებული ბავშვები ეწვივნენ 83.12-13

08 სკოლის მოსწავლეები სტუმრად 112-ში 83.14-15

09 112 უანგარო დონორთა აქციაში ჩაერთო 83.16

10 112-ის ტერიტორიაზე უნიკალური ჯიშის 112 ხე დაირგო 83.17

11 კარგი პოლიციელი 83.19

12 დაბადების დღის საჩუქარი 83.20

01 112-მა NATO-ს დღეებზე პროექტი „კოსმოსური ხომალდი“ წარმოადგინა

მიმდინარე წლის 2 აპრილს, შსს-ს „112“-ის დეპარტამენტმა ნატო-ს დღეების გახსნაზე საბავშვო პროექტი - „კოსმოსური ხომალდი“ წარმოადგინა.

პროექტის ფარგლებში, „112“-ის ოპერატორები ბავშვებს ფუტურისტული იმიჯით დახვდნენ და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სპეციალურად მათთვის შექმნილი კომპიუტერული თამაშები შესთავაზეს.

გამარჯვებულ ბავშვებს „112“-ის უნივერსალური საშვები გადაეცათ, რომელთა საშუალებითაც ისინი ნამდვილ „112“-ში მოხვდებიან და თავად ნახავენ, როგორ ეხმარებიან ცენტრის ოპერატორები გადაუდებელ სიტუაციაში მყოფ მოქალაქეებს.

NATO-ს დღეები, უკვე მეათე წელია, NATO-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით იმართება, თუმცა „112“-მა წელს პირველად მიიღო მონაწილეობა.

ცენტრმა ყველა დაინტერესებულ სტუმარს უმასპინძლა და მრავალფეროვანი გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები შესთავაზა.

112

112

112

02

112-ს NATO-ს პვირეულზე წარმოდგენილი პროექტის „კოსმოსური ხომალდი" გამარჯვებული ბავშვები ესტუმრნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს „112"-ის დეპარტამენტს ნატო-ს დღეების ფარგლებში წარმოდგენილი საბავშვო პროექტის - „კოსმოსური ხომალდი" - გამარჯვებული ბავშვები ესტუმრნენ.

112

112
FOR KIDS!
112

112

03 112-ს ლიტვის რესპუბლიკის პოლიციის წარმომადგენლები ეწვივნენ

მიმდინარე წლის 7 აპრილს, შსს-ს „112“-ის დეპარტამენტს, პროექტის - „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა“ - ფარგლებში, ლიტვის რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის გენერალური კომისრის მოადგილე რიმანტას ბობინასი და კრიმინალური პოლიციის ბიუროს დელეგაცია ეწვია.

ლიტვის დელეგაციის წევრებმა „112“-ის თბილისის ცენტრი დაათვალიერეს და ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრები შს მინისტრის პირველ მოადგილეს, ბესიკ ამირანაშვილს და შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

პროექტის „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა“ მიზანია ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ურთიერთობის და ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარება, პოლიციის საკითხებში სტანდარტიზაცია და ჰარმონიზაცია.

04 112-ს იორდანიის ჟანდარმერიის დელეგაცია ეწვია

მიმდინარე წლის 6 აპრილს, საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს შსს-ს ჟანდარმერიის დელეგაცია, გენერალური დირექტორის, გენერალ-მაიორ ჰუსეინ ალ ჰავათმეს ხელმძღვანელობით, საქართველოს შსს-ს დანაყოფების მუშაობას გაეცნო და ვიზიტის ფარგლებში შსს-ს „112“-ის დეპარტამენტს ესტუმრა.

დელეგაციის წევრებმა „112“-ის თბილისის ცენტრი დაათვალიერეს და ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრები შს მინისტრის მოადგილე მერაბ მალანიას და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორ მინდია ლორთქიფანიძეს შეხვდნენ.

იორდანიის ჟანდარმერიის დირექტორმა საქართველოს შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს ევროპისა და ხმელთაშუაზღვის ჟანდარმერიებისა და გასამხედროებული პოლიციის სტატუსის მქონე ძალების გაერთიანებაში (FIEP) გაწევრიანებასთან დაკავშირებით სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და სპეციალური ოპერაციების ძალების გამოფენასა და კონფერენციაზე (SOFEX) მიიწვია, რომელიც იორდანიაში გაიმართება.

05 112-ს ინდონეზიის დელეგაცია ეწვია

მიმდინარე წლის 3 აპრილს, შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტს ინდონეზიის იუსტიციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მინისტრი იასონნა ლაოლი დელეგაციასთან ერთად ესტუმრა.

„112“-ის წარმომადგენლებმა სტუმრებს ცენტრში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების, ასევე, ზარის მიღებისა და დამუშავების პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. დელეგაციის წევრებმა ქოლ-ცენტრი დაათვალიერეს, სადაც ოპერატორებისა და დისპეტჩერების მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ.

შეხვედრის დასასრულს, „112“-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა დელეგაციის წევრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

06

112-ს საფრანგეთის ჯონსული ესტუმრა

შსს-ს „112“-ის დეპარტამენტს საფრანგეთის კონსული - სინდი სკრივენი და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები ესტუმრნენ.

„112“-ის თანამშრომლები საფრანგეთის საელჩოს დელეგაციის წევრებს ცენტრში განხორციელებული და სამომავლო პროექტების შესახებ ესაუბრნენ. სტუმრებმა დაათვალიერეს ჭოლ-ცენტრი, სადაც ზარის მიღებისა და დამუშავების პროცესს გაეცნენ.

„112“-ისა და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებმა სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

ვიზიტის დასასრულს, შსს-ს სსიპ „112“-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

07 112-ს ახალი წლის დღეებში „თბილისი მოლში“ წარმოდგენილი პროექტის - „კოსმოსური ხომალდი“ გამარჯვებული ბავშვები ეწვივნენ

შსს-ს „112“-ის დეპარტამენტს, 14 მარტიდან 28 მარტის ჩათვლით, ინოვაციური პროექტის - „კოსმოსური ხომალდი“ გამარჯვებული 200-მდე ბავშვი ესტუმრა.

ვიზიტის ფარგლებში, „112“-ის წარმომადგენლებმა ბავშვებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს, თუ რა დროს უნდა დარეკონ გადაუდებელი დახმარების ნომერზე, როგორ უნდა ითანამშრომლონ ოპერატორთან და რა სანქციები არსებობს ცრუ და არამიზნობრივი ზარის განხორციელების შემთხვევაში.

მოზარდებმა შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერეს და ოპერატორების სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნენ. შეხვედრის დასასრულს ბავშვებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

შეგახსენებთ, 2016 წლის 24-25 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მოზარდებში მართლწესრიგის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, „თბილისი მოლში“ იმიტირებული „უსაფრთხო ქალაქი“ მოაწყო. შსს-ს „112“-ის დეპარტამენტმა „უსაფრთხო ქალაქში“ საბავშვო პროექტი „კოსმოსური ხომალდი“ წარმოადგინა. „112“-ის ოპერატორებმა ბავშვებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სპეციალურად მათთვის შექმნილი კომპიუტერული თამაშები შესთავაზეს. ხომალდის კაპიტანმა გამარჯვებულებს უნივერსალური საშვები გადასცა, რომელთა საშუალებითაც ისინი ნამდვილ „112“-ში მოხვდნენ.

08 სკოლის მოსწავლეები სტუმრად 112-ში

მიმდინარე წლის მარტის და აპრილის თვეში, შსს-ს „112“-ის დეპარტამენტს, პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ ფარგლებში, სერვანტესის სახელობის გიმნაზიის - „აია-GESS“-ის, 62-ე და 182-ე საჯარო სკოლებისა და სკოლა „ათასწლეულის“ მოსწავლეები ესტუმრნენ. „112“-ის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს იმის შესახებ: თუ როგორ და რა დროს უნდა დარეკონ და რომელი გადაუდებელი სამსახურის ბრიგადის გამოძახებაა შესაძლებელი „112“-ზე დარეკვით. მათ, აგრეთვე, შეიტყვეს, თუ რა ზიანის მომტანია „112“-ზე ცრუ ზარის განხორციელება და რა სანქციებია გათვალისწინებული ნომრის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევებში.

მოზარდებმა „112“-ის თბილისის ცენტრი დაათვალიერეს და შეხვედრის დასასრულს სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს.

112 - უანგარო დონორთა აქციაში ჩაერთო

09

მიმდინარე წლის 20 მარტს შსს-ს „112“-ის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს უანგარო დონორთა აქციაში - „თქვენ დღეს სიცოცხლე გადაარჩინეთ“. „112“-ის წარმომადგენლებმა ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის სისხლის ბანკის დახმარებით, სისხლის საჭიროების მქონე პაციენტებისთვის სისხლი გაიღეს. „112“-ის თანამშრომლები ხშირად იღებენ მონაწილეობას მსგავს აქტივობებში, რითაც არაერთ ადამიანს ეხმარებიან.

ჰემატოლოგიის ინსტიტუტის სისხლის ბანკი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა პროფილის კლინიკებს, ასევე, ონკოლოგიითა და ლეიკემიით დაავადებულ პაციენტებს სისხლის კომპონენტებით ამარაგებს.

10 112-ის ტერიტორიაზე უნიკალური ჯიშის 112 ხე დაირგო

საქართველო-ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოში პირველად, ჩინური სახალხო დღესასწაული, ნერგების ფესტივალი გაიმართა, რომლის ფარგლებშიც, მიმდინარე წლის 12 მარტს, შსს-ს „112“-ის დეპარტამენტის ტერიტორიაზე 112 უნიკალური ჯიშის ხე დაირგო.

„112“-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს საქართველოში ძი იანჩის თბილისის ქოლ-ცენტრი დაათვალიერებინა. ჩინეთის ელჩი გაეცნო ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის - „112“-ის ფუნქციონირებას.

ფესტივალში ასევე მონაწილეობა მიიღეს თბილისის მერმა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული საატყეო სააგენტოს უფროსმა, მედია ჰოლდინგმა gbtimes Georgia და სხვადასხვა ჩინური კომპანიის წარმომადგენლებმა.

ღონისძიების დასასრულს, „112“-ის დირექტორს საქართველო-ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ნერგების ფესტივალში მონაწილეობისთვის მადლობის სიგელი გადაეცა.

ეს საინტერესოა...

11 ჯარგი პოლიციელი

ნიუ-იორკელი პოლიციელი ლარი დეპრიმო Times Square-ზე პატრულირებდა, როცა ფეხსაცმლის მაღაზიასთან ტროტუარზე მჯდომი უსახლკარო მოხუცი დაინახა. ლარიმ მაშინვე შეამჩნია, რომ მოხუცი ფეხშიშველი გახლდათ. პოლიციელი გაესაუბრა მოხუცს, გაიგო მისი ფეხის ზომა, მაღაზიაში შევიდა და მალე ფეხსაცმლის ყუთით დაბრუნდა. ყუთში ზამთრის მაღალყელიანი ფეხსაცმელი და თბილი წინდები ეწყო. პოლიციელმა თავისი ხელით ჩააცვა ფეხსაცმელი მოხუცს, მეგობრულად გადაეხვია და დაემშვიდობა.

ეს ყველაფერი ფეხსაცმლის მაღაზიის მენეჯერმა მობილური ტელეფონით ჩუმად გადაიღო და ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტს გაუგზავნა. დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ ფოტო ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე ატვირთა და ღირსეულ პოლიციელს მადლობა გამოუცხადა.

წყარო: www.huffingtonpost.com

12 დაბადების დღის საჩუქარი

მშობლებმა აუტიზმით დაავადებულ გლენ ბურატს 6 წლის იუბილეზე დაბადების დღის წვეულება მოუწყვეს, მაგრამ დაპატიჟებულთაგან არავინ მივიდა... გულნატკენმა დედამ ამ ფაქტის შესახებ სოციალურ ქსელში დაწერა.

რამდენიმე საათში გლენთან დაბადების დღის მისალოცად ათობით პოლიციელი და მეხანძრე მივიდა, ბედნიერი ბავშვი დაასაჩუქრეს და დაბადების დღე ნამდვილ ზეიმად უქციეს.

წყარო: www.solarhome66.livejournal.com

112

გილოცავთ აღდგომას



112

www.112.gov.ge